სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 20 (4559) • 27 დეკემბერი • 2017 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი

ბედნიერი გაგითენდეთ – 2018!

თსუ–100; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი–100

ჭეშმარიტი ზრუნვა აწმყოსა და მომავალზე

ბედის *ჩარხის უკუღმა ტრიალმა, გავეშებულმა მცდელობამ, დაგვიწყებოდა ყოველივე ეროვნული, ის, რითაც სხვა მოდგმის ხალხთაგან განვსხვავდებით, ანუ, რითაც თითოეული ერი ერობს-მხოლოდ მისია და განუმეორებელი-ლამის საყოველთაო უვიცობა, მორალურ-ზნეობრივი დეგრადირება და საკუთარი ისტორიის დავიწყებაც გამოიწვია. არადა, ხომ გვმოძღვრავს ილია, თუ ერი თავის ისტორიას ივიწყებს, წასულია მისი საქმეო.*

ღირსსახსოვარი თარიღებიც სწორედ ისტორიის განუყოფელი ნაწილია. რამდენი ღვაწლმოსილი მამულიშვილის დაბადება-გარდაცვალების, რამდენი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის თარიღს ჩაუვლია ისე, რომ არავის გახსენებია?

და, მადლობა ღმერთს, რომ არიან ადამიანები, ვისაც ახსოვს, ესათუთება ასეთ ღირსსახსოვარ თარიღებსა თუ მოვლენებს.

ერთ-ერთი ასეთი უდიდესი მოვლენათაგანი ჩვენი დედა უნივერსიტეტის დაარსებაა. 2018 წლის 8 თებერვალს მას 100 წელი უსრულდება.

გავიხსენოთ: დიდი **ივანე ჯავახიშვილისა** *და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით, 1918 წელს თბილისში კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა. მისი დამფუძნებლები იყვნენ მეცნიერების კორიფეები:* **შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ანდრია რაზმაძე, იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი...**

სასწავლებლის პირველი რექტორი **პეტრე მელიქიშვილი** *გახლდათ.*

უნივერსიტეტის დაარსებისთანავე გაიხსნა პოლიტიკური ეკონომიის გაერთიანებული კათედრა პოლიტიკური ეკონომიის, საფინანსო და სტატისტიკის სპეციალობებით, რომელსაც პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი ხელმძღვანელობდა.

ერთ საგაზეთო წერილში, ცხადია, ვერა და ვერ მოხერხდება უნივერსიტეტის ყველაზე დიდი ფაკულტეტის წლების მანძილზე გაწეული ძალზე მნიშვნელოვანი და ტევადი, მოცულობითი მუშაობის სრულად წარმოჩენა.

ფაკულტეტის უფროს სპეციალისტს ქალბატონ **ნანა ბუაძეს** *მაგიდაზე ედო გამოსაცემად მომზადებული ნაშრომი ფაკულტეტის ღვაწლზე ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ქვეყნისათვის ამ დარგის სპეციალისტთა აღზრდაში დაარსებიდან აქნობამდე. მაგრამ, ვეჭვობ, თუნდაც ამ ნაშრომმა სრულად დაიტიოს ფაკულტეტის ყოველდღიური მიზანმიმართული, შემოქმედებითი მეცნიერული თუ აღმზრდელობითი მუშაობა. თუმცა, ცნობილი ანალიზის-ცდა ბედის მონახევრეაო-პერიფრაზით, ეგებ, შევძლო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ღვაწლის მცირედ წარმოჩენა მაინც.*

ფაკულტეტზე 14 კათედრაა: თეორიული ეკონომიკის (ხელმძღვანელი–პროფესორი **ელგუჯა მექვაბიშვილი**); *ეკონომიკური პოლიტიკის (პროფესორი* **რევაზ გველესიანი**); *საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის (აკადემიკოსი* **ავთანდილ სილაგაძე**); *მიკროეკონომიკის (პროფესორი* **ეთერ ხარაიშვილი**); *მაკროეკონომიკის (პროფესორი* **ნოდარ ხადური**); *ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის (პროფესორი* **სიმონ გელაშვილი**); *ეკონომეტრიკის (პროფესორი* **იური ანანიაშვილი**); *ფინანსებისა და საბანკო საქმის (პროფესორი* **ირაკლი კოვზანაძე**); *ბუღალტერული აღრიცხვისა და აუდიტის (პროფესორი* **ელენე ხარაბაძე**); *საერთაშორისო ბიზნესის (პროფესორი* **თემურ შენგელია**); *მენეჯმენტისა და ადმინისტრირების (პროფესორი* **დავით ნარმანია**); *მარკეტინგის (პროფესორი* **ნუგზარ თოდუა**); *ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის (პროფესორი* **იოსებ ხელაშვილი**); *ეკონომიკისა და ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების (პროფესორი* **დემურ სიჭინავა**).

გაგრძელება მე–2 გვ. →

ახალი წელი



მოვიდეს ლხენით,
ფიფქების ცვენით,
მოთაფლულ ენით,
ალუბლის ფერით.

აზამბახებით,
აბულბულებით,
რომ გაგვიხაროს
ჩვილი გულები.

ახალი წელი
ნათელი აზრით,
კეთილი ფიქრით,
ახალი სახლით,

მოვიდეს რიდით,
დინჯად, სიფხიზლით,
მხოლოდ სიმართლით,
ნაღდი სინდისით.

გვემატოს ბევრი,
ოჯახის წევრი,
ბავშვები ერის,
ნორჩები ჩვენი.

წავიდეს მტერი,
ცეცხლიან ცელით,
გაერთიანდეს
სამშობლო ჩვენი!

წავიდეს ფლიდი,
მოვიდეს რიდით,
სულ სიყვარულით,
ტკბილი მაყრულით.

მარად ულევი
ბზითა და დღითა,
ათასჯერ ითქვას:
იცოცხლეთ დიდხანს!

ნაირა ნიჟარაძე

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

← 1-ლი გვერდიდან

ჭეშმარიტი ზრუნვა აწმყოსა და მომავალზე

ყოველი კათედრა რუდუნებით, მეცნიერებისა და სწავლების თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისად წარმართავს მუშაობას და თავის ტევად წილს დებს ფაკულტეტის მართლაც თვალსაჩინო წარმატებებში. მაგრამ მათი შეწყობილი საქმიანობის, საერთო მიზნის-ქვეყანას აგრერიგად საჭირო სპეციალისტები აღუზარდონ-ერთობლივად მისაღწევად, ცხადია, ასევე სათანადო საერთო ხელმძღვანელობაა საჭირო.

ეს მისია ფაკულტეტის დეკანატს აკისრია.

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი ბატონი **სიმონ გელაშვილი:** *„ჩვენი ფაკულტეტი სტუდენტთა რაოდენობის მხრივ პირველია უნივერსიტეტში. 2005-2006 წლებში ეკონომიკური პროფილის ოთხი ფაკულტეტი ერთ ფაკულტეტად გაერთიანდა და მას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ეწოდა. ძირითადი მიმართულებები სასწავლო და სამეცნიეროა. მას ძირითადი აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები წარმართავენ. 2005 წელთან შედარებით, ათჯერ იმატა ჩვენი მეცნიერების უცხოურ გამოცემებში გამოქვეყნებულმა სტატიებმა. დამყარდა მჭიდრო, შემოქმედებითი ურთიერთობები გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების რეიტინგულ უნივერსიტეტებთან. ძალზე მნიშვნელოვანია სტუდენტთა გაცვლის პროგრამაც.*

ყოველივე ზემოთქმულში დიდია ჩვენი დეკანატის, დეკანის-ბატონ **თეიმურაზ ბერიძისა** *და სასწავლო და სამეცნიერო დარგებში მისი მოადგილეების ქალბატონების:* **მარინა ჩავლეიშვილისა** *და* **ნინო ფარესაშვილის** *წვლილი.*

ბატონი თეიმურაზი თავის დარგში ცნობილი მეცნიერია. ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. იგი ერთობ კოლეგიალური, საქმიანი, თავმდაბალი პიროვნებაა. ყოველთვის ყურადღებით ისმენს სხვათა აზრს, არავის დაუკარგავს რაციონალურ წინადადებას. ძალზე გულისხმიერი ხელმძღვანელი და კოლეგაა“.

თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი ბატონი **ელგუჯა მექვაბიშვილი:** *„თეორიულ ეკონომიკას ყველა მიმართულების სტუდენტი სწავლობს. ეკონომიკა და ბიზნესი ამ საგანზეა დაფუძნებული. ანუ, საფუძველს ვუყრით ეკონომიკურ და ბიზნეს განათლებას. საამისოდ ორი რამაა აუცილებელი: სათანადო სახელმძღვანელოები და საერთაშორისო დონეზე აპრობირებული სწავლების მეთოდები. მოკრძალებული შედეგები უკვე გვაქვს: სტუდენტებს ვასწავლით მსოფლიოში ცნობილი ავტორის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის* **გრეგორი მენქიუს** *სახელმძღვანელოთი. თეორიულობის მიუხედავად, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პრაქტიკულ მეცადინეობებს: ტესტებს, სავარჯიშოებს, ქეისების გარჩევას. ეს საერთაშორისოდ აპრობირებული სწავლების მეთოდია.*

ყოველდღიურად ვგრძნობთ დეკანატის, უშუალოდ ბატონი თეიმურაზის თანადგომას. მენქიუს სახელმძღვანელოს თარგმნისათვის საჭირო თანხაც სწორედ მან გაითვალისწინა ბიუჯეტში. კათედრის ნებისმიერ საჭიროებაზე დაყენებულ საკითხზე ოპერატიული და შედეგიანი რეაგირებაა. ძალზე გონიერი, წინდახედული და გულისხმიერი ხელმძღვანელია. მის მიმართ დიდი მადლიერების გრძნობა გვაქვს“.

დეკანის მოადგილე სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით, ასოცირებული პროფესორი **მარინა ჩავლეიშვილი:** *„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ერთ-ერთი დიდი ფაკულტეტია. თსუ-ში არსებული აქტიური სტუდენტების დაახლოებით 23% სწორედ ჩვენს ფაკულტეტზე სწავლობს. ბატონი თეიმურაზი გამოცდილი მენეჯერი და ორგანიზატორია, მისი გამოცდილება ეხმარება ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო და კვლევითი პროცესის ეფექტიან მართვას. იგი უაღრესად განათლებული, მიუკერძოებელი, სამართლიანი, გულისხმიერი, კომუნიკაბელური პიროვნებაა. საოცრად კოლეგიალური და სამართლიანია კოლეგებთან და სტუდენტებთან ურთიერთობაში. ფაკულტეტის ყოველი მუშაკისთვის უმთავრესი მიზანია სტუდენტმა საერთაშორისო დონის განათლება მიიღოს და თავისი საქმის პროფესიონალად ჩამოყალიბდეს. სტუდენტების ინტერესების გამოსავლენად, ბატონი თეიმურაზის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, ხშირად იმართება შეხვედრები მათთან, განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ბატონი თეიმურაზის რეაგირება სტუდენტების პრობლემებზე მყისიერია“.*

ქალბატონი **ნანა ბუაძე:** *„ფაკულტეტის ისტორიის ამსახველი ამ ნაშრომის შექმნის იდეა ბატონი თეიმურაზს ეკუთვნის, მაგრამ ამაზე შეჩერებას არ ვაპირებთ. ბატონ თეიმურაზს სრულიად საფუძვლიანად სურს, რომ ეს ნაშრომი მომავლისათვის კიდევ შეივსოს. იგი უაღრესად კეთილი, საქმიანი, ერუდირებული პიროვნებაა”.*

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცენტრი: ბლუმბერგის საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს-ინკუბატორი (ფაბლაბი), სწავლის ხელშემწყობი ფონდი, რომელიც სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას და სხვ.

ცხადზე უცხადესია, რაოდენ მნიშვნელოვანია ბავშვობიდანვე წარმართული სწორი პროფესიული ორიენტაცია, რაოდენ აუცილებელია ადამიანმა იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში, იმ საქმეს დაადგეს, რისთვისაც მოწოდებულია. „ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში“ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკის სფეროში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს; სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ამუშავებენ საკონფერენციო თუ საპრეზენტაციო მასალებს, მონაწილეობენ კონფერენციებში.

აი, სწორედ ამას ჰქვია ჭეშმარიტი და არა ფარისევლური, ლიტონსიტყვაობით გაჯერებული ზრუნვა აწმყოსა და მომავალზე.

თავად ბატონ თეიმურაზ ბერიძეზე -გულმართალ პიროვნებაზე, მისი მეცნიერული მიღწევებისა და ერთობ პასუხსაგებ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის თუნდაც თეზისურად აღნიშვნა, მისი ნაშრომების, პუბლიკაციების უბრალოდ ჩამოთვლაც ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას და, ვგონებ, არცაა საჭირო-ნათქვამია, საქმემან შენმანო. ზემოთქმული მცირე ინფორმაციიდანაც აშკარაა მისი დიდი ღვაწლი ფაკულტეტის ესოდენ წარმატებულ, მიზანმიმართულ მუშაობაში-ადამიანი თავის ადგილზე. და უმთავრესი-კოლეგების დაფასება და შეფასებაც. გვჯერა, ასეთი ხელმძღვანელობით, კათედრების ძალისხმევით, ფაკულტეტი ღირსეულად შეხვდება უნივერსიტეტის იუბილეს და შემდეგაც განუხრელად ივლის წინ ახალ-ახალი წარმატებებისკენ.

კონსტანტინე გურგენიძე

P.S. გაზეთ „სახალხო განათლება+“ -ის რედაქცია ქართველი ერის საამაყო დედაუნივერსიტეტსა და ყველაზე სტუდენტმრავალ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს გულმხურვალედ ულოცავს 100 წლის იუბილეს.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება – თსუ 100 წლისაა

100 წლის წინ, 1917 წლის 15 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიულად დაფუძნდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ აღდგენის ღონისძიება გაიმართა. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მის მხარდამჭერებს აერთიანებს.

ქართველი მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადაზე

ტაილანდის კუნძულ ფჭუკეტზე გამართულ ასტრონომიისა და ასტროფიზიკის მე-11 საერთაშორისო ოლიმპიადაზე ქართველმა მოსწავლეებმა საპატიო სიგელი მოიპოვეს. მსგავს ოლიმპიადაში მონაწლეობა საქართველოს ნაკრები გუნდისთვის პირველი წარმატებაა.

საპატიო სიგელის მფლობელი ზურაბ ჯაში ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42-ე სკოლის, ხოლო გიორგი გრიგოლია კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №199 სკოლის მოსწავლეა.

მნიშვნელოვანია, გუნდის დანარჩენი ორი წევრის- კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის 199 სკოლის მოსწავლის გიორგი პატაშურისა და ვეკუას სკოლის მოსწავლის ლუკა ხიზანიშვილის წარმატება, რომლებიც დაჯილდოებისთვის მინიმალური ქულის ზღვარს მცირედ ჩამორჩნენ.

ქართველი მოსწავლეების ოლიმპიადაზე გამგზავრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

45-ე ტრადიციული ბაგა-ბაღი –50

აქ ცეროდენების ზღაპრული სამყაროა



იზა კვანტიძე

თბილისის 45-ე ბაგა-ბაღში სტუმრობა ყოველთვის საამოვნო ემოციას იწვევს. აქ ყველაფერი ესთეტურად მიმზიდველი და თვალშისაცემია. იგი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა, 1967 წელს დაარსდა და 50 წლის იუბილის აღსანიშნავად ემზადება. საიუბილეო საღამო სულ მალე გაიმართება და მოწვეულნი იქნებიან ყოფილი თანამშრომლები. გაიხსენებენ ერთად გატარებულ წლებს და პატივს მიაგებენ გარდაცვლილებს.

იზა კვანტიძე, ბაგა-ბაღის დირექტორი: საიუბილეო საღამო იქნება მოკრძალებული და არაპომპეზური, სადაც ერთმანეთს ერთ ლამაზ და დაუვიწყარ დღეს ვაჩუქებთ. მიხარია, რომ ამ შესანიშნავ საბავშვო დაწესებულებაში ვმუშაობ, რომელიც მდიდარია ტრადიციებით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ **იზა კვანტიძე** უკვე ათი წელიწადია ბაღს წარმატებით ხელმძღვანელობს. იგი შესანიშნავად აგრძელებს წინამორბედი დირექტორის **ზაირა ელბაქიძე-ჭილაიას** დამკვიდრებულ ტრადიციებს, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრა თანამედროვე მეთოდებით.

45-ე ბაგა-ბაღი ყოველთვის გამოირჩევა დისციპლინით, წესრიგით და მომავალ თაობაზე განსაკუთრებულო ზრუნვით. ბაღში შესვლისთანავე იგრძნობა მზრუნველი დიასახლისის ხელი. ეზო მოპირკეთებული და დამშვენებულია ლამაზი ყვავილებით თუ სხვადასხვა სათამაშოებით. საბავშვო ოთახები და დერეფნები ისეა მორთულ-მოკაზმული, თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონებათ. ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ერთი სიტყვით, ბაღში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პატარებმა თავი ბედნიერად და კომფორტულად იგრძნონ. ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით, ბაღი დღითიდღე მშვენდება. იგი აქტიურად ჩართულია **„სასკოლო მზაობის“** პროგრამაში და ყველანაირი პირობაა შექმნილი, რათა ცეროდენებმა სათანადო აღზრდა-განათლება მიიღონ. აქაური მესვეურები ცდილობენ არ ჩამორჩენ მოვლენებს, სისტემატურად გაანახლონ სასწავლო პროცესი და და ახალ-ახალი წიგნები შეიძინონ

ბაღში ტრადიციულად იმართება ეფექტიანი ზეიმები, ღია გაკვეთილები. პატარების კარგი აღზრდისათვის, ბაღი სხვადასხვა სკოლებიდან ხშირად იღებს სამადლობელო წერილებს. ამიტომაც არის, რომ ბაღი პოპულარობით სარგებლობს და დღითიდღე მატულობს აქ მოხვედრის მსურველთა რიცხვი.

იზა კვანტიძე: ჩვენი ბაგა-ბაღი მოცულობით პატარაა და გათვლილია 200 ბავშვზე, მაგრამ დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე გვყავს 530 აღსაზრდელი და 71 თანამშრომელი. მათი დაუღალავი შრომით მუდამ წესრიგი და სასიამოვნო გარემოა. ვცდილობთ ფეხდაფეხ ავყვეთ თანამედროვე მოთხოვნებს და დავიცვათ ის რეგლამენტები, რომელიც სისტემატურად განახლების პროცესშია. აღსაზრდელები მუდმივ წარმატებას აღწევენ მუსიკის პედაგოგის **ნინო ჭკუასელის,** ცეკვის მასწავლებლების **ქეთევან ჩალაძისა** და **გელა ცნობილაძის** ძალისხმევით. მათი დამსახურებაა, რომ პატარები დაუვიწყარი შემოქმედებით გამოვიდნენ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, **„არტ-ჰოლში“** და **„თბილისი მოლში“**. ცუგრუმელებს მზრუნველობას არ აკლებენ გამოსაშვები ჯგუფის აღმზრდელები: **მანანა ქველაძე, ქეთინო მესხორაძე, ნინო ფანქველაშვილი,** ასევე, მათი თანაშემწეები: **ლია ბაკურაძე, მაია ყანჩაველი** და **ლია ფოცხვერაშვილი.** აქვე აღსანიშნავია, ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ გამოჩენილი კეთილი ნება და ყურადღება. ბავშვთა რაოდენობის გადაჭარბების გამო, ჯგუფებში დაგვემატა აღმზრდელის თანაშემწეები, რაც მისასალმებელია. ახალბედა კადრებს ჩვენ დიდი სიხარულით შევხვდით. მიუხედავად იმისა, რომ მათ გამოცდილება არ ჰქონდათ, ბავშვების სიყვარულით ყველა სიძნელე გადალახეს და მშვენივრად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. ესენია: **თამარ ლაბუჩიძე, ქეთი შათირიშვილი, თამარ სოზაშვილი, თამარ კობალაძე, მაია ბურდული, დალი კვიციანი, ვერიკო ასლანიკაშვილი** და **ნინო აფხაზავა.** მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბაღში განსაკუთრებული საჭიროების მქონე 25 აღსაზრდელია, რომლებსაც მულტიდისციპლინარული გუნდი ემსახურება. ესენია; ფსიქოლოგი **ლალი ნაზარაშვილი,** ლოგოპედი **მაია შიხიაშვილი,** სპეციალური პედაგოგები — **ნანული აბუთიძე და ნინო ფეიქრიშვილი,** რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა თითოეული ბავშვი, მაქსიმალურად იყოს ჩართული ყველა აქტივობაში. ამიტომაც, ჩვენი პატარები საუკეთესო შედეგებს აღწევენ. ბაღი უზრუნველყოფილია მეთოდური ლიტერატურითა და მსხვილი თუ წვრილი მოტორიკის განმავითარებელი სათამაშოებით. ლოგიკური სავარჯიშოები კი, აღსაზრდელებს უნარ-ჩვევებს უვითარებს. პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები: **მარინე** და **ირინე ბოკუჩავები.**

დირექტორს მხარში უდგანან გამოცდილი მოადგილე — **რუსუდან კობიაშვილი,** *მეთოდისტები* **თეა გაჩეჩილაძე, ლალი ბერია,** *სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი* **მაია თათარაშვილი,** *საქმისმწარმოებლები:* **იზა გრიგოლია** და **ნესტან ზუკაკიშვილი.**

აღსანიშნავია, რომ ბაღის ზეიმებში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულები არიან მშობლებიც. დედები მღერიან და ცეკვავენ პატარებთან ერთად და ასე გამოხატავენ თავიანთი შვილების მხარდაჭერას.

ბავშვებზე დედასავით ზრუნავენ და მათ სულს უფაქიზებენ ჩინებული აღმზრდელები: **ხათუნა ხავთასი, მარინა ზაზიევი-პოღოსიანი, ირმა ბერიძე, მაია ვაშაყმაძე, ნანი ნახუცრიშვილი, ლელა ნადირაძე, ლალი ბერია, ანა მესხორაძე, ანა ჯანიაშვილი, ნატო იაშაღაშვილი, მაკა გიორგაძე, მანანა ციცვიძე, მარიამ ფუტკარაძე, გვანცა მესხორაძე, მანანა ზაქარეიშვილი და ნათია ფუხაშვილი.** მათ გვერდში უდგანან თანაშემწეები: **შორენა გეგუჩაძე, დალი მათიაშვილი, ნანა ჩხაიძე, ნათია წიკლაური, ცისანა მელქაძე, ლიანა ალანია და ქეთევან მესხორაძე.**

საბავშვო ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკურ პერსონალსაც. ისინი დიდი რუდუნებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ესენია: **მზია კევლიშვილი, თეონა ბროლაძე, შორენა ელანდიშვილი, მაია გორგოძე, ნაირა ლაზარაშვილი, მერი მირიანაშვილი, მანანა ავდიევა, რუსუდან ზარიძე, მზია ბეროშვილი, ნარგიზ ცუცქირიძე, მანანა დაუშვილი, ნინო ლალიაშვილი, მაია ნადირაშვილი, ნატალია ხატიაშვილი, ვლადიმერ მათიაშვილი, რომეო კალაიჩევი, ზაზა ზიტანიშვილი** და **ომარ ჩიბურდანიძე.**

ახალი წლისთვის საგანგებოდ მოემზადნენ ბაგა-ბაღში, სადაც აღსაზრდელებისთვის საახალწლო კონცერტი გაიმართა თუმცა, მანამდე ბაღის ოთახები მოირთო ლამაზი ნაძვის ხეებით და საახალწლო ატრიბუტიკით. **ბაგა-ბაღების სააგენტომ** და **თოვლის ბაბუამ** ცუგრუმელები საახალწლო ნუგბარითა და ტკბილეულით დაასაჩუქრა.

დამდეგ შობა-ახალ წელს და 50 წლის იუბილეს ვულოცავთ 45-ე ბაღის მესვეურებს, ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს, კიდევ უფრო გაბრწყინებას!

მზია გოგოძე

P.S. *რედაქტორის მინაწერი: ბაგა-ბაღის დირექტორს იზა კვანტიძეს ჩვენი რედაქცია ულოცავს ორ (50 და 10 წლის) იუბილეს!*

„საქმემან შენმან წარმოგაჩინოს“

ათასს, ვითარცა–ერთს!

„გვინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ და თქვენს პედაგოგებს: **თამარ აბაიშვილს, იური ხაჩიძეს, ლია ნატროშვილს, გოჩა სახვაძეს, ლია გონაშვილს, სუსანა ბასიაშვილს.** მათი დაუღალავი შრომის შედეგად, ჩვენმა შვილებმა: **საბა კობახიძემ, გიორგი თოდუამ, ბესო ოსიპიდისმა** და **გოგა შველიძემ** ბრწყინვალე ცოდნა გამოავლინეს სკოლების საატესტატო და შიგა გამოცდებზე.

მშობლების სახელით, **მაკა აფციაური“.**

„ჩემი შვილი **ანა კვანტრიშვილი** სამი წელია ჩართულია მაღალი აკადემიური წარმატებების მქონე ბავშვთა პროგრამაში ისტორიის წრეზე, რომლის ხელმძღვანელია ქალბატონი **ლია ნატროშვილი.**

დიდი მადლობა თქვენს გუნდს. ჩემი შვილი გააქტიურდა, გაცილებით მონდომებულია, მონაწილეობს სხვადასხვა კონფერენციაში.

თქვენს პასუხისმგებლობაზე, შემოქმედებით უნარსა და მაღალ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ჩვენი შვილების მომავალი.

პატივისცემით, **ინგა კაშია“.**

„ჩემი შვილი **თათია გიორგაშვილი“**, „შვილიშვილი **ანა დოლიძე**“... მადლობები, მადლობები. და ასეთი სამადლობელი წერილების მთელი დასტაა. ადრესატი— **თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის რაიონის ფილიალი** და მისი გამგე—ღირსების ორდენის კავალერი, სამგორის რაიონის საპატიო მოქალაქე, სკოლისგარეშე დაწესებულებების წლის საუკეთესოს ნომინაციებში გამარჯვებული ბანოვანი, ქალბატონი **ლამზირა მელქაძეა,** ვინც ორმოცი წელია სათავეში უდგას მომავალი თაობის სკოლისგარეშე აღზრდის ამ საოცარ კერას.

აი, ვინ დაიმსახურა მშობელთა ესოდენი მადლიერება: **ყაზბეგ ბანეთიშვილი, დოდო ხელაშვილი, თინა იმერლიშვილი, მარინა დასნი, თამარ კახაბრიშვილი, გიორგი ჟღენტი, ნატო ფაილოძე, თამარ აბაიშვილი, სუსანა ერზიკიანი, ცისანა მშვენიერიძე, სუსანა ბასიაშვილი, ნატო ომანიძე, გოჩა სახვაძე, ციცია მკერვალი, თამილა ტლაშაძე, ნინო აბაიშვილი, ირინა კუზნეცოვა, იური ხაჩიძე, ლიანა ნატროშვილი, ლია გონაშვილი, ნატო დევდარიანი, ვლადიმერ დათუაშვილი, მიხეილ ყიფშიძე, იოსებ რობაქიძე, სერგო მოვსესოვი.**

მათ გასიგრძეგანებული აქვთ სკოლისგარეშე დაწესებულებების უდიდესი მნიშვნელობა სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ყმაწვილების აღზრდაში (ამის ყველაზე უტყუარი დასტური კი სწორედ ეს სამადლობლებია).

ქორეოგრაფია, ქართული ხალხური საკრავები, ვოკალი, ჭადრაკი, სამეჯლისო ცეკვები, კალათბურთი, ინგლისური (2), რუსული ენა, ხატვა, მათემატიკა, ქიმია, ქართული ენა და ლიტერატურა, მხატვრული ტანვარჯიში (3), ტანვარჯიშის ქორეოგრაფია, ზოგადი უნარები, ისტორია, ფიზიკა, ჰიპ-ჰოპი, ძიუდო (2), კარატე.

დახეთ, რაოდენ მრავალმხრივია სახლის მუშაობა! და ეს მუშაობა 1000-მდე აღსაზრდელს მოიცავს.

ჩავუკვირდეთ: ეს ხომ ქუჩის მავნე გავლენას ბევრად არიდებულ, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარ, სწავლითა და ვარჯიშით დაინტერესებულ 1000-მდე ყმაწვილს ნიშნავს! განა, ბევრი საჯარო თუ კერძო სკოლა დაიკვეხნის ამდენი სამადლობელით?!

სახლის პედაგოგებმა კარგად უწყიან ბავშვების გულებისკენ მიმავალი ბილიკები; იციან, როგორ აღუძრან, გაუღვივონ და შემდეგ ყოველი მეცადინეობით გაუძლიერონ ამა თუ იმ საგნისა და ხელოვნების დარგების, სპორტის ინტერესები.

ქალბატონმა ლამზირამ ისე „ყოფითად“ ახსენა 1000-მდე მოსწავლეო, რომ ცხადი იყო: პედაგოგთა კოლექტივი ათასს ისე უყურებს და ისე მუშაობს მათთან, ვითარცა—ერთთან. ანუ, ყოველი ბავშვის ინდივიდუალობა, პიროვნული თვისებები და უნარ-მიდრეკილებებია გათვალისწინებული და მათთან ყოველდღიურ მუშაობაში სახელმძღვანელოდ ქცეული.

დავაკონკრეტოთ, სახელდობრ კიდევ რის გამო ემადლიერებიან სახლს მშობლები?

XII კლასების 19-ვე მოსწავლე, აქ რომ ემზადებოდა სხვადასხვა საგანში, ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში; ცეკვის ქართულმა ხალხურმა ანსამბლმა, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, დამდგმელი ქორეოგრაფის, ღირსების ორდენის კავალერის ბატონ **ყაზბეგ ბანეთიშვილის** ხელმძღვანელობით, მრავალ ჯილდოსთან ერთად, ბულგარეთსა და თურქეთში გამართული საერთაშორისო ფესტივალების გრან-პრი და I ადგილი მოიპოვა; მხატვრულ ტანვარჯიშში 300-მდე გოგონა ოსტატდება. ძიუდოში საქართველოს ჩემპიონია **ომარ ნიაზაშვილი.**

უსათუოესი ტრადიცია არის დამკვიდრებული სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში: ყოველწლიურად იმართება საჭადრაკო კომპოზიტორის, ჭადრაკის წრის დამაარსებლის ბატონ **შამილ დასნის** მემორიალი. ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ ხოლმე **ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ბუხუტი გურგენიძე.** ამჟამად ჭადრაკს ბატონი შამილის ქალიშვილი, ქალბატონი **მარინა** უძღვება. მისი აღზრდილია **სოფო ხუხაშვილი,** ხოლო თანრიგოსნებს კი თვლა არა აქვთ.

სახლში, ქალბატონი ლამზირას თქმით, ასეა დამკვიდრებული: პედაგოგთა უფროსი თაობის ცოდნა და გამოცდილება ესტაფეტად გადაეცემა ახალგაზრდა მასწავლებლებს, ხოლო ერთობლივი ენთუზიაზმი, შემოქმედებითი მიდგომა კი ასეთ დიდებულ შედეგებს განაპირობებს.

და კიდევ ერთი, რაც ადუღაბებს, კიდევ უფრო მეტი შემართებისთვის განაწყობს პედაგოგებს: ყოველწლიურად ავლენენ სახლის საუკეთესო პედაგოგს. ამჟამად ასეთად ბატონი **ყაზბეგი** მიიჩნიეს. მანამდე— **მარინა დასნი, თამილა ტლაშაძე, გოჩა სახვაძე.** სპეციალური კომისია ავლენს ღირსეულს და ასე ადგენს გამარჯვებულს.

რაც ითქვა, ვგონებ, სრულიად საკმარისია სამგორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მართლაც ერთობ თვალსაჩინო, მნიშვნელოვანი წარმატებების წარმოსაჩენად.

ახლა კი სახლის მადლობების ადრესატები გავიცნოთ.

მერია აფინანსებს 217 სოციალურად დაუცველ ყმაწვილს; ასევე, აფინანსებს 16 წარჩინებულს: **დავით ჩარკვიანს, ლუკა ბარდიანს, მარიამ მარტიაშვილს, ნანა აბაშვილს, ანი კერატიშვილს, რევაზ ბლიაძეს, მარიამ წიკლაურს, მირიან მირიანაშვილს, მარიამ გიორგაძეს, თამაზ ჩუბინიძეს, ანა კვანტრიშვილს, ნიკა პერანიძეს, მარიამ ავეტისიანს, ავთანდილ ტეფნაძეს, მაგდა მჭედლიშვილს, ანა ქარჩავას;** სახლს დაუმონტაჟდა გათბობის სისტემა, გამოეცვალა კარ-ფანჯრები.

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ქალბატონი **მანანა წნორიაშვილი.** მისი დახმარებითა და სახლის დანაზოგით, კეთილმოეწყო **ჭადრაკის, ხატვის, ქართული ენის** კაბინეტები და **სამეჯლისო ცეკვების, ძიუდოს** დარბაზები.

რაიონის გამგეობამ კეთილმოაწყო ეზო. მალე გარე განათების საკითხსაც მოაგვარებს და კიდევ ბევრ რამესაც.

ბატონი **შოთა ხაბარელი,** ვინც ძალზედ ძვირადღირებული ტატამი აჩუქა მომავალ გამოჩენილ ძიუდოისტებს.

ქალბატონი ლამზირა, მთელი კოლექტივი ემადლიერება ნახსენებ უწყებებსა თუ პიროვნებებს მუდმივი თანადგომისათვის.

სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ჭეშმარიტად დიდებულ მუშაობაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ამჟამად ეს ვიკმაროთ. დიდი მადლობა ამ სახლის ყველა პედაგოგსა და გულშემატკივარს.

აქ ცხოვრების სავალის სწორად არჩევის უმნიშვნელოვანეს საქმეში ათასსაც ისე უდგებიან, ისე ესათუთებიან, ვითარცა—ერთს!

კონსტანტინე გურგენიძე

არაფორმალური აქტივობები

წიგნიერება ცოდნის მაღალ დონეს განაპირობებს

„თავისუფალი გაკვეთილები“, ასე ეწოდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტს, რომელიც განათლების ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის ზრდას, საინტერესო და სახალისო სასკოლო ცხოვრებას უწყობს ხელს.

„თავისუფალი გაკვეთილები“ გულისხმობს მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობების ციკლს, რომლის შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია განსხვავდება ტიპიური საგაკვეთილო პროცესისაგან, არ ითვალისწინებს საშინაო დავალებების მომზადებას, მოსწავლის შეფასებას და მოსწავლეებს და მასწავლებლებს შემოქმედებითი აქტივობის და იდეების რეალიზების საშუალებას აძლევს. აქტივობებისთვის, პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები: **სპორტული აქტივობები, წიგნიერების განვითარება, კულტურა-ხელოვნება** და **ინტელექტუალურ–შემეცნებითი აქტივობები.**

საგულისხმოა, რომ **„თავისუფალი გაკვეთილები“** ფინანსდება სამინისტროს მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში, რომელიც გადაეცათ სკოლებს. პროექტში, ძირითადად, ჩართულები არიან VII-VIII კლასის მოსწავლეები. სპორტული მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებში აქტივობები გაწერილია 40 საათზე, ხოლო დანარჩენ მიმართულებებში-არაუმეტეს 20-20 საათისა.

აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდა თბილისის 36-ე საჯარო სკოლაში, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. **„თავისუფალი გაკვეთილების“** შესახებ გვესაუბრება სკოლის დირექტორი **მაია კვინიკაძე.**

-სკოლების საგრანტო დაფინანსების პროგრამა **„თავისუფალი გაკვეთილები“,** მართლაც მნიშვნელოვანი პროექტია სასკოლო ცხოვრებაში,რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის დონის ამაღლებას და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **„თავისუფალი გაკვეთილების“** პირველი ეტაპი 2017 წლის თებერვალში გამოცხადდა. ჩვენ წარვადგინეთ 3 პროექტი საგანმანათლებლო მიმართულებით და დაფინანსებაც მოვიპოვეთ. მეორე ეტაპი კი, სექტემბერში დაიწყო. პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდა. **„თავისუფალი გაკვეთილები“** 20 ან 40 საათიანია (ძირითადად, სპორტის მიმართულებით) და მასში ჩართულები არიან მე-7, მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეები, რომლებიც სკოლისგან განსხვავებულ დისციპლინას სწავლობენ. ამ მხრივ ხელოვნების მიმართულებით სწავლობენ ხალხურ საკრავებზე დაკვრას. მუსიკის პედაგოგია **ნანა წიკლაური.** წიგნიერების განხრით ლექსიკონს **„თვალადური ქართული ჭაშნიკი“** ფილოლოგი **მზია ჩიტიშვილი** ამზადებს. სპორტის სახეობაში ფრენბურთის ელემენტებს მასწავლებელი **ნოშრევან წიკლაური** ასწავლის.

აღნიშნულმა პროექტმა მოსწავლეებში დიდი დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა. **„თავისუფალი გაკვეთილები“-ს** ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემეცნებითი აქტივობები, მოსწავლეებმა შექმნეს ელექტრონული ჟურნალი, გაიმართა კონცერტი და სპორტული შეჯიბრება ფრენბურთში, სადაც გამარჯვებულებს თასი და სიგელები გადაეცათ.

დირექტორის თქმით,36-ე სკოლაში მსგავსი ღონისძიებები და შემოქმედებითი აქტივობები სამომავლოდაც გაგრძელდება, რასაც დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ახალგაზრდებს იხსნის უსაქმურობისა და იმ საზარელი მოვლენებისგან, რასაც, სამწუხაროდ, ამ დღეებში ჰქონდა ადგილი. **36-ე სკოლელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს და ახალ წარმატებებს გისურვებთ!**

საზეიმო კალეიდოსკოპი 29-ე ბაგა-ბაღში

საახალწლო საჩუქრებმა პატარები გაახარა

შობა-ახალი წლის შესახვედრად საგანგებოდ მოემზადნენ თბილისის 29-ე საბავშვო ბაგა-ბაღში, სადაც პატარებისთვის საახალწლო კონცერტი გაიმართა. ცუგრუმელები ძალიან გაახარა თოვლის ბაბუამ, რომელმაც ტკბილეული და სხვადასხვა ნუგბარი დაურიგა მათ. საჩუქრები კი, ბაგა-ბაღების სააგენტომ გამოუგზავნა აღსაზრდელებს. საზეიმო სამზადისი ბაღში 10 დეკემბრიდან დაიწყო. აპლიკაციებით და თვალსაჩინოებებით გალამაზდა დერეფნები. დარბაზი გაფორმდა დიდი ფერწერული ტილოთი და სადღესასწაულო ატრიბუტიკით, დაიდგა ნაძვის ხეები, ოთახები მოირთო ლამაზი გრილიანდებითა და ბრჭყვიალა სათამაშოებით,

ბაგა-ბაღის დირექტორი **ლალი ნოზაძე,** ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ პატარებს სასიამოვნო განწყობა შეუქმნას და აქ გატარებული წლები ტკბილ მოგონებად დარჩეთ. ქალბატონი ლალი უკვე 41 წელიწადია სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მოღვაწეობს და უამრავი თაობის აღმზრდელია. იგი დედასავით ზრუნავს პატარებზე და არცერთ მათგანს ყურადღებას არ აკლებს.

ლალი ნოზაძე: *საახალწლო ზეიმისთვის საგულდაგულოდ მოვემზადეთ, საკარნავალო სამზადისში მშობლებიც მხარში დაგვიდგნენ ნაკლები დანახარჯებით შევძელით ლამაზი სანახაობის გამართვა. ბაღში ყველაფერი მოწესრიგებულია, გვყავს ათი ჯგუფი და ბავშვთა რაოდენობაც ბევრია. მსურველთა რიცხვი კი, გაცილებით მეტია, რადგან ერთ-ერთი პრესტიჟული ბაღია და ბევრ მშობელს უნდა ჩვენთან შვილების მოყვანა. მენიუ მრავალფეროვანია, დაცულია კალორიულობა, ცილების და ცხიმების რაოდენობა. ვიღებთ მაღალი ხარისხის პროდუქტებს. ბაგა-ბაღების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი* **კახა გვანცელაძე** *გულისხმიერი პიროვნებაა და საგულდაგულოდ ეცნობა დედაქალაქში არსებულ სკოლამდელთა ბაღების პირობებს. ჯგუფების გადატვირთვის გამო დაგვემატა ახალი თანამშრომლები, 5 აღმზრდელის თანაშემწე, 2 მზარეული, ცეკვის პედაგოგი და დამლაგებლები. მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამენ ბაღის ფუნქციონირებით და ეს ძალიან გვახარებს.*

ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კადრებით. თანამშრომლებს ერთმანეთთან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება აქვთ, რაც მთავარია, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ 29-ე ბაღელებო და ახალ-ახალ წარმატებებს, ზღვა სიხარულს გისურვებთ!

გვერდის ავტორია
მზია გოგოძე

ახალი სკოლა – ძველ ნაფუძარზე

მიზანმიმართული, შემოქმედებითი შრომით

2014 წელს *დოლიძის ქუჩაზე მდებარე 61-ე საჯარო სკოლის ავარიული შენობა დაინგრა და იგი ტექნიკური უნივერსიტეტის VII კორპუსს შეეხიზნა. მაგრამ ხიზნობას ხელი არ შეუშლია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თვალსაჩინო წარმატებებით წარმართვაში, რაზეც ა.წ. 5 აპრილის ნომერში წერდა ჩვენი გაზეთი.*

2017-2018 სასწავლო წელი სკოლამ კვლავ იქვე დაიწყო, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მუშაკთა თავდაუზოგავი შრომით, მერიის, სკოლის კურსდამთავრებულების, პედაგოგების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების ძალისხმევით, 4 ოქტომბერს 61-ე სკოლა ნაფუძარს დაუბრუნდა და სასწავლო პროცესი ყოველგვარი შეფერხების გარეშე გაგრძელდა.

სათქმელად ადვილია: ხიზნობისას-თვალსაჩინო წარმატებები და ახალ შენობაში გადმოსვლის რთული პროცესის დროსაც კი სასწავლო პროცესი არ შეფერხებულაო, მაგრამ ამ ორიოდ წინადადების მიღმა ხომ სკოლის ადმინისტრაციის-დირექტორი ქალბატონი შორენა ღუდუშაური; მოადგილე ქალბატონი **მადონა ბაღდავაძე,** *პედაგოგთა მთელი კოლექტივის:* **ინეზა გაბუნიას, ნათია თამაზაშვილის, ნანა ესაკიას, მზია გელაშვილის, ნუნუ ნებიერიძის, ლია რუხაძის, სოფიო სახვაძის, თინათინ ჭაბაშვილის, ლუიზა მიმინოშვილის, ნინო ჟღენტის, თეონა ჯალაღონიას, ია გაგუას, მაკა აბრამიშვილის, ეკა კუსრაშვილის, ხათუნა ვარდანიძის, მანანა მაისურაძის, მაია მხეიძის, ფიქრია კუჭუაშვილის, იზოლდა ბენდელიანის, მადონა ძნელაძის, მარინა გელაძის, ეკატერინე მდივანის, მარიამ ჯიჯიეშვილის, ნარგიზ სიხარულიძის, ლია ბაკურაძის, ელისაბედ ჯერენაშვილის, ნანა სვანიძის, მარინა ხუციშვილის, ელენე ლობჟანიძის, ქეთინო გიორგაძის, ნანა გაფრინდაშვილის, მარინა გოგიბერიძის, ნანი არჯევანიძის, ანა ლეჟავას, ანა ხვედელიძე-ჟორდანიას, ნინო დოროყაშვილის, თინათინ გზირიშვილის, სოფიო სარალიძის, ია იაკობაშვილის, მარიამ ჯინჭარაძის, ლია ობოლაძის, ქრისტინა ხაჩატურიანის, ნანული თოფურიას, ნათელა ახვლედიანის, სოფიო ქსოვრელის, ნინო გიორგაძის, ეთერ მიქაბერიძის, ნინო გელბახიანის, ლედი მეგრელიშვილის, მანანა მამაცაშვილის, მანანა დვალის, იამზე ბუჩუკურის, ფლორენცია ქორიძის, მარინა ნიკოლაიშვილის, გია შანშიაშვილის, დავით ჩახავას, ლევან წიქარიშვილის, რუსუდან იაკობაშვილის, ნაია ენდელაძის, ნანა აბულაძის, მარინა მთავრიშვილის, მაია ჯაშის, ნანა დვალის** *ორგანიზატორული ნიჭი, წინდახედულება, მონდომება, ახალ ვითარებაში მყისიერად გარკვევის უნარი დგას.*

ახალი შენობა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სასკოლო ავეჯით; არის ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის ლაბორატორიული კაბინეტები, კომპიუტრული ლაბორატორია და კლას-კაბინეტები, ექიმის ოთახი, ადაპტირებული გარემო სპეციალური მოსწავლეებისათვის, 2 ლიფტი, სააქტო და სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკა.

შარშანდელთან შედარებით, საგრძნობლად იმატა მოსწავლეთა რაოდენობამაც (987 – 1120), რაც სკოლის მზარდი ავტორიტეტის კიდევ ერთი დასტურია. ბოლო დროს მომხდარი გულისშემძვრელი ფაქტების გათვალისწინებით, განსაკუთრებით გამოსაკვეთი და მისაბაძია უსაფრთხოების მიზნით, სკოლაში მიღებული ზომები: სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე იკეტება ცენტრალური კარი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მოსწავლე ტერიტორიას დირექციის სპეციალური ნებართვით ტოვებს; უცხო პირები სკოლის ტერიტორიაზე არ დაიშვებიან; კლასების დამრიგებლები მკაცრად აკონტროლებენ მოსწავლეთა დასწრებას და აცნობებენ მშობლებს. დამრიგებლებმა მშობლებს გააცნეს სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტები, შინაგანაწესი, სისტემატურად აწვდიან მშობლებს ინფორმაციას შვილების ყოფაქცევასა და სწავლის ხარისხზე.

დისციპლინის განმტკიცებას, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მეტად დაახლოებასა და სკოლის ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართულობას უწყობს ხელს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზანმიმართული, გააზრებული მუშაობა. 14 ოქტომბერს არჩეულმა თვითმმართველობამ თავიდანვე შესთავაზა თანატოლებს, მასწავლებლებსა და მშობლებს სხვადასხვა საინტერესო პროექტი, ინიციატივა და სკოლაც ყოველმხრივ უწყობს ხელს მისი მუშაობის წარმატებულად წარმართვას.

ამ სასწავლო წელს, დირექციის მაქსიმალური ძალისხმევით, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გაიხსნა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო, შემეცნებითი და სპორტული წრეები: გახანგრძლივებული, ხელნაკეთი ნივთების, ჭადრაკის, ხატვის, კუნგ-ფუს, ინლისური და რუსული ენების, ლოგიკური აზროვნების, უძველესი ცივილიზაციებისა და მსოფლიო ლიტერატურის, სახალხო ასტრონომიის, მხატვრული კითხვის, საესტრადო ვოკალის, გიტარის, ბალეტის, სამეჯლისო ცეკვებისა და სხვა. ამას ერთვის დამატებითი მეცადინეობები სუსტი მოსწავლეებისათვის; ღია, ინტეგრირებული გაკვეთილები, საგანმანათლებლო პროგრამები თსუ-ის საგანმანათლებლო ცენტრში პროფესორ **შალვა ამირანაშვილის** *სახელმძღვანელოებით: „ასტრონომია და მისი მნიშვნელობა“; „ვარსკვლავები, გალაქტიკა და მეგაგალაქტიკა“.*

ასეთი მიდგომით, მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადაში, განათლების სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება სკოლის ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით. სკოლის მეცადინეობით, განუხრელად იზრდება წიგნის, კითხვის მოყვარულ მოსწავლეთა რაოდენობა.

61-ე სკოლაში სრულიად მართებულად მიიჩნევენ, რომ სასწავლო პროცესის წარმატების უცილობელი პირობა უსაფრთხოება და გუნდური პრინციპით მუშაობაა მოსწავლეებთან, მშობლებთან, ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრთან თანამშრომლობა; ყველა მნიშვნელოვან საკითხზე პედაგოგთა კოლექტივის გუნდური მსჯელობაა.

გამართულად, ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს ცხრავე საგნობრივი კათედრა. შემუშავდა მათი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები. სახელდობრ: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება; პროფესიული განვითარების გზების დასახვა; წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა. მასწავლებლები აქტიურად არიან ჩაბმულნი პროფესიული განვითარების სქემაში და განუხრელად ზრუნავენ თვითგანვითარებაზე. ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა პროფესიონალურ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიონალური განვითარებისა და კარიერული წინსვლის შეფასების ჯგუფი დირექტორისა და ფასილიტატორების: **ი. ბუჩუკურის, მ. ჯიჯეიშვილისა** *და* **ი. ვეკუას** *შემადგენლობით, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.*

ჯგუფის მუშაობის მიზანი ცხადია: ხელშეწყობა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიონალური განვითარებისათვის. მათი დახმარება პირადი პროფესიონალური განვითარების დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში, ურთიერთთანამშრომლობის კულტურის ამაღლებაა.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ სწავლებას. ამჟამად ასეთი სწავლების საჭიროების თხუთმეტი მოსწავლე ჰყავთ. უმეტესობას მენტალური და ქცევითი პრობლემები ახასიათებს. ამის მიუხედავად, ყმაწვილები ჩართულები არიას ერთიან სასწავლო პროცესში. საგნის მასწავლებლებმა, სპეციალურ პედაგოგთან ერთად, სასწავლო წლის დასაწყისშივე შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მათში ასახულია მოკლე და გრძელვადიანი მიზნები. სკოლის ისგ ჯგუფი ყოველთვიურად ხვდება სსსმ მოსწავლეთა მშობლებს და ერთობლივად აანალიზებენ შედეგებს. რესურსოთახი აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებითა და ინკლუზიური სწავლებისათის საჭირო რესურსებით. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობას უძღვება **თამარ ბეთანიშვილი.** *იგი დიდი პასუხისმგებლობით, წარმატებით წარმართავს ამ მეტად ფაქიზ საქმეს.*

ასე კომპლექსურად, მიზანმიმართულად წარმართავს მუშაობას ძველ ნაფუძარზე აღმართულ ახალ შენობაში 61-ე სკოლა, რათა ქვეყანას ჭეშმარიტი მამულიშვილები -მცოდნე, მორალურ-ზნეობრივად შემკული თაობები აღზარდოს და, გვჯერა, რომ სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგთა კოლექტივი უკვე მიღწეულ თვალსაჩინო წარმატებებს ყოველდღიური შემოქმედებითი, თავდაუზოგავი შრომით უფრო და უფრო გაამრავლებს.

კოტე სარალიძე

ანთოლოგია-უწიგნურობის დამმარცხებელი

აი, ასეთი მწამს ალმანახი!

ანთოლოგია და **ალმანახი** თითქმის სინონიმებია: ახლახან ცნობილმა პოეტმა, ბრწყინვალე ჟურნალ **„ათინათის“** რედაქტორმა, დიდ ეროვნულ საქმეს შეჭიდებულმა მამულიშვილმა **გულნაზ ხარაიშვილმა** მაჩუქა დიდებული, საოცარი გემოვნება—რუდუნებით, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული **„ანთოლოგია–VI ტომი“.** როგორც მკითხველმა, მინდა ჩემი შთაბეჭდილება ძალიან მოკლედ გაგიზიაროთ.

ანთოლოგიის ეს მეექვსე ტომი ჟურნალ **„ათინათის“** პრინციპით, მის სტილშია გადაწყვეტილ-შედგენილი. იგი იმდენად მრავალფეროვანია თემატიკურად, ჟანრობრივად, ექვსასზე მეტგვერდიანი წიგნის სარჩევისოდენ ჩამონათვალსაც ვერ დაიტევს ჩვენი გაზეთი. 200-ზე მეტი ავტორის ნახელავი ცხოვრების თითქმის ყველა დარგს, სფეროს მოიცავს და **ენციკლოპედიური** ხასიათისაა. ავტორთა პროფესიონალიზმის და წარმოდგენილი მასალების მხატვრულ-მეცნიერული დონის შეფასებას ჩვენი გაზეთი ვერ შეწვდება. იგი ცალკე მსჯელობის საგანია.

ბრწყინვალე, დიდებული, საინტერესო, სასარგებლო, საჭირო- აი, რა ეპითეტებს იმსახურებს ეს უნიკალური ანთოლოგია.

ამას წინათ მწერალთა კავშირში შედგა ამ საუნჯის წარდგენა-განხილვა (განგებ არ ვხმარობ სიტყვა **„პრეზენტაციას“,** მამა-პაპური **„განხილვა“** მირჩევნია). თავად ვერ დავესწარი, მაგრამ გავეცანი ამ ღონისძიების აქტიური მონაწილეების, ანთოლოგიაში ბარაქიანად წარმოდგენილი ავტორების: ცნობილი საბავშვო პოეტის **ნაირა ნიჟარაძისა** და მწერალ **ციცინო ჩხაიძის** ინფორმაციას. გთავაზობთ მცირე ნაწყვეტს იქიდან: „საქმიანად, ემოციურად წარიმართა სხდომა, ზოგჯერ „შეხლა-შემოხლის“ ნიშნითაც კი. **„ანთოლოგიის მეექვსე ტომს“** კვალიფიციური, მაღალი შეფასება მისცეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა **რევაზ მიშველაძემ,** პროფესორმა **სოსო სიგუამ,** პოეტმა **ბაღათერ არაბულმა,** მწერლებმა **სერგო ლომაძემ, კახა ბაციკაძემ,** მამა **ამირან ამირანაშვილმა, „ფაზისის“** აკადემიის პრეზიდენტმა **ვახტანგ ნადარაიამ.** გამოითქვა სასარგებლო, კეთილი შენიშვნები, რომელთაც დამაჯერებელი პასუხები გასცა „ანთოლოგიის“ რედაქტორმა, პოეტმა **გულნაზ ხარაიშვილმა.** ასევე ერთხმად გაესვა ხაზი „ანთოლოგიის“ დიდ ღირსებას, მის მნიშვნელობას და პოპულარობას. სიტყვით გამოსულებმა სათანადო მადლიერება გამოხატეს რედაქტორის მიმართ, რომელმაც დიდი შრომა და შემოქმედის ნიჭი, ერუდიცია უძღვნა „ანთოლოგიის“ ექვსი ტომის გამოცემას.

მხატვრულ ნაწილში მონაწილეობდნენ მოსწავლეები. მათ განცდით წაიკითხეს როგორც საკუთარი, ისე „ანთოლოგიიდან“ შერჩეული ლექსები. საზღაურად საჩუქრად მიიღეს პატარა **ვერცხლისებური ნაძვის ხე.** ღონისძიების ბოლო აკორდი დაამშვენა მამა **ამირან ამირანაშვილის** სიმღერამ“.

ახლა კი შეფასების ჩემი რიგიც დადგა. აქაც სიტყვაძუნწი ვიქნები, რადგანაც გაზეთის ფორმატი სხვა გზას არ მიტოვებს. აი, პედაგოგის თვალით დანახული **„ანთოლოგია“.** იგივე პოზიცია და მადლიერება უნდა გამოვხატო, რაც ჟურნალ **„ათინათის“** მიმართ მაქვს გამოთქმული. დიდი მადლობა მთავარ რედაქტორ **გულნაზ ხარაიშვილს,** რედაქტორ **ლუარა სორდიას,** მათ **თანამებრძოლებს** ასეთი ღვაწლისათვის, ეროვნული სულის აღორძინებისათვის.

„ათინათზე“ ნათქვამს კვლავ გავიმეორებ: **სკოლისთვის, მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის, პედაგოგებისთვის** დღეს ამ **„ანთოლოგიაზე“** უფრო საჭირო და სასარგებლო წიგნი არ მეგულება. საზოგადოების ცნობიერებაში ყველა ცოდნის თავმოყრით იგი **სახელმძღვანელოთა სახელმძღვანელოა.** აბა, გულდასმით წაიკითხეთ? რამდენ ცოდნას შეგძენთ. მაგრამ ვაი, რომ გულდასმით, შეცნობილი ყურადღებით **წამკითხველი შემოგველია! კომპიუტერმა ძირს დასცა წიგნის შეგნებული კითხვის კულტურა, რაც მუდამ უპირველესი წყარო იყო, არის და იქნება განათლებისა.** კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, რადგანაც **იგი თავად არის წიგნის ნაყოფი.**

დებილი უნდა იყო, კომპიუტერის უდიდეს სიკეთეს ვერ ხედავდე, არ გესმოდეს მისი ფასი, მაგრამ აქვე ერთ ანტითეზას შევთავაზებთ მკითხველს: კალმახზე უფრო სასარგებლო თევზი რომელია, მაგრამ უზომოდ რომ მიაძღა ლუარსაბი, **„დაემართა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონს“.** ვფიქრობ, მკითხველი მიმიხვდა, რისი თქმა მინდა.

ისტორიკოსებმა კარგად იციან: ძველად იყო ასეთი გამოთქმა: **ცხვარმა შეჭამა ინგლისიო.** დღეს კი აქა-იქ გაისმის: **კომპიუტერმა შეჭამა წიგნიო.** არის თუ არა ამაში, მკითხველო, სიმართლის მარცვალი? ვინც წიგნს არ ეკარება, ხომ **უწიგნური** ჰქვია? ჰოდა, ეს **„ანთოლოგია“** შეებრძოლება იმას, რასაც **უწიგნურობას** ვეძახით.



„უსაქმურობა დედაა ყოველგვარი ბოროტებისაო“,—ხშირად იტყოდა აკაკი წერეთლის დედა. კიდევ გირჩევთ, მოგიწოდებთ ყველას, განსაკუთრებით **ახალგაზრდებო, პედაგოგებო, დირექტორებო, მშობლებო,** შეიძინეთ **„ათინათი“** და **„ანთოლოგია“,** დაეწაფეთ აქ დაუნჯებულ ცოდნის წყაროს. ამით გაიმდიდრებთ ცოდნას, გაიფართოებთ გონებრივ თვალსაწიერს. და გამოეცლება ნიადაგი ისეთ შემზარავ ფაქტებს, **რაც ბოლო დროს გახშირდა: 15-16 წლის ბიჭებმა ერთმანეთი რომ დაჭრეს და დახოცეს.** ამ **„ათინათ-ანთოლოგიების“** წამკითხველი **სხვა საფიქრალზე გადაერთვება,** თავს აარიდებს ბევრ **უკეთურებას** და მასთან ერთად გახდება **განათლებული,** ღრმადმოაზროვნე ინტელექტუალი, ერი კი- **„გულადი, პურადი, მოყვარე თავის მიწისა“.** აი, საითკენ მოგვიწოდებენ ეს უნიკალური ჟურნალ-ანთოლოგიები.

მაშ, იმრავლონ **„ათინათებმა“, „ანთოლოგიებმა“** და მისმა მკითხველებმა!

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

სწავლა–აღზრდის ხარისხის მკვეთრად ამაღლება

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დიდი მიზანი

საბურთალოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სკოლისგარეშე დამატებითი განათლების მიღებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, სადაც მოსწავლეების თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებასა და ცოდნის შეძენა-გაღრმავებას კვალიფიციური პედაგოგები ემსახურებიან. საინტერესოა, რომ 1984 წლამდე იგი ყოფილი ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა სახლის სახელით ფუნქციონირებდა. ამჟამად კი შარტავას ქუჩაზე, 198-ე საჯარო სკოლის შენობაშია. 20 წელზე მეტია ამ სახლს სათავეში უდგას დირექტორი თამილა მელაძე, რომელიც პროფესიით პედაგოგია, კარგად ერკვევა ბავშვის ფსიქოლოგიასა და განვითარებისათვის საჭირო ყველა ნიუანსში.

აქ ყოველ სასწავლო წელს ახალ ამოცანებს გეგმავენ და მათი საქმიანობა ორ ძირითად მიზანს ისახავს – **ფორმალური განათლების ხელშეწყობას** და **არაფორმალური განათლების** მიწოდებას. მიზნის მიღწევის საზომია სამადლობელი წერილები, რამაც უწყვეტი ხასიათი მიიღო აგერ უკვე 10 წელია.

მოსწავლეთა სახლში 9 სხვადასხვა წრე ფუნქციონირებს: **ფიზიკა** და **მათემატიკა** – ხელმძღვანელი **მაია მარაქველიძე;** ქართული ხალხური ცეკვა – **თამარ ქორიძე;** სახვითი ხელოვნება – **ნანა გიგაური;** ინგლისური ენა – **ლალი კალანდაძე, ქეთინო მხეიძე, თეა ლაპიაშვილი;** რუსული ენა – **ნინო ვარდოშვილი;** გამოყენებითი ხელოვნება – **ნელი ლომსაძე;** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება – **თამარ ჟორჟოლიანი;** თითოეული მათგანის საქმიანობა თავისებურად გამორჩეული და საინტერესოა, თუმცა ყველაზე დიდი ისტორია სახვითი ხელოვნების წრეს აქვს, რომლის ხელმძღვანელი **ნანა გიგაური** სტუდენტობის წლებიდან უძღვება წრის საქმიანობას. მისმა მოსწავლეებმა 70-ზე მეტ გამოფენასა თუ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, წარმატებული პედაგოგი განათლების სამინისტრომ 2016 წელს დიპლომითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვა. სულ რამდენიმე დღის წინ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრისა და გამოფენის ორგანიზატორი კომპანია **„კრეატივ ივენთის“** ხელმძღვანელობით, გაიმართა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა **„მე მინდა საქართველო მიცნობდეს“,** სადაც სახვითი ხელოვნების წრის ბავშვები მონაწილეობდნენ, 198-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის განსაკუთრებული საჭიროების მოსწავლე **თორნიკე ზურაბაშვილი** კი დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.

მისასალმებელია მოსწავლეთა ბიზნეს კლუბის ჩამოყალიბება, რომელიც მეორე წელია არსებობს და ეფუძნება განვითარების საერთაშორისო გამოცდილებებს. ბიზნეს კლუბში პირველ ეტაპზე მეცადინეობა მიმდინარეობს **„აფლატუნის“** პროგრამით. „აფლატუნის“ სიმბოლოს წარმოადგენს კაშკაშა, თბილი, მეგობრული ცეცხლის ალი, რომელიც ნდობისა და რწმენის სიმბოლოა. კლუბის ხელმძღვანელია **ქეთო ჯაბიძე;** კონსულტანტები – **მამუკა ერქომაიშვილი** და ადამიანური რესურსების განვითარების ფონდის ხელმძღვანელი, აფლატუნის პროგრამის საქართველოში შემომტანი და ამ პროგრამის რეგიონალური ტრენერი **ნოდარ სარჯველაძე.**

გაგრძელება მე–9 გვ. →

საახალწლო ზეიმი პირველ ლოგოპედიურში

ინათებს და გათენდება ქრისტეშობის დილა

ულამაზესი *გარემო – მწვანეში ჩაფლული, ათასფერადი სათამაშოებით, ატრაქციონებით, სასრიალოებითა და ფანჩატურებით მორთული ეზო, სწავლების თანამედროვე სტანდარტების*

შესაბამისი, სოციალური ადაპტაციისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები – ეს, თბილისის N1 ლოგოპედიური ბაგა-ბაღია. იგი საქართველოში პირველად 1979 წელს გაიხსნა და ერთადერთი სადღეღამისო ბაღი იყო. აქ სპეციალური პედაგოგიური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, ბავშვებს სწორი მეტყველების კულტურას უვითარებენ. დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა და ამჟამად ბაღი საკმაოდ დიდ კონტიგენტიანია (18 სააღმზრდელო ჯგუფი) გამოცდილი აღმზრდელები ყველაფერს აკეთებენ **„სასკოლო მზაობის“** *პროგრამის პირნათლად განხორციელების მიზნით. ბრწყინვალე ქალბატონის, ახალი დირექტორის* **მზია კოტიაშვილის** *ხელმძღვანელობით ჩატარებული სამუშაოები და მიღწეული შედეგები, თვალსაჩინოა.*

აქ წლების მანძილზე მოღვაწეობენ ნიჭიერი, გამოცდილი, შრომისმოყვარე აღმზრდელ-პედაგოგები, შემოქმედებითი თუ ტექნიკური პერსონალი. ნორჩების შემეცნებითი უნარების განვითარებას, ესთეტიკურ აღზრდას, მათი ინტერესების სფეროს გაფართოვებას საკმაოდ კარგად უძღვებიან ბაგა-ბაღის აღმზრდელები: **ლალი ყურაული, სალომე ფხალაძე, ლალი გელაშვილი, სოფო პირველი, თამილა იმედაშვილი, ნელი ჩიტაძე, მარიკა ხუროშვილი, მარინა კერვალიძე, მაკა მუმლაძე, მარინა კიკვაძე, ციალა მუჯირიშვილი, მარიამ ჩიტაური, ნინო ნორაკიძე, ლია ბერიძე, მარინა კერვალიძე, ნინო ყაველაშვილი, ლელა ცერცვაძე, ნათია აბრახამია, ნანი ოჩხიკიძე, თინათინ მოსიაშვილი, ინგა კურტანიძე, ირინე ლაცაბიძე, ლია რაზმაძე, რუსუდან ღუღუნიშვილი, ფატმან ცუცქირიძე, ლამრიკო ჯგერენაია, ლეილა რეხვიაშვილი, ირმა გარსიძე, თეა გაგანაშვილი, ნინო დანელია, ლალა გურული, შორენა ჭინჭარაული, რუსუდან ხურცილავა, ლელა გურასპაშვილი, ხატია მაისურაძე, მაია მჭედლიძე.**

მერცხლებივით ჭიკჭიკებენ პატარები. აღმზრდელებთან ერთად, მათ სითბოსა და ალერსს არ აკლებენ აღმზრდელის თანაშემ-

წვეები: **იათამზე მესხი, ეკა ობგაძე, მაია ქაშიბაძე, ინდირა ტუღუში, შორენა ბახტურიძე, ია კუპატაძე, ეკა ბუწანკალური, დალი ხატიაშვილი, ლალი ნეფარიძე, ზეინაბ გასიტაშვილი, ხათუნა ყალაგაშვილი, ეკატერინე გურგენაშვილი, ლელა ბეგიჯანაშვილი, ლია ივანაშვილი, თინა კვიჟინაძე, ნანული სააკაძე, ელზა გუმბერიძე, თამარ რაზმაძე, ეკა ჩხეიძე, ნუნუ კენკიშვილი, თეა კუპატაძე, ნაირა ლოლაშვილი, თეკლე გეთიაშვილი, ქეთევან ებანოიძე, ნინო სესიტაშვილი, ელისაბედ ქვრივიშვილი, დალი ონეზაშვილი, თამარ გოგოლაძე, დოდო ოთიაშვილი, მარინე ეპიტაშვილი, ელენე ბაჩილავა, ირმა იმერლიშვილი.**

მეთოდისტი **მანანა ბერიზაშვილი,** *ორმოც წელზე მეტია პატარების სამსახურშია და თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტია. ახალი პროგრამების დანერგვასა თუ სხვა მეთოდურ სამუშაოებში თავისი წვლილი შეაქვს მეთოდისტ* **მაია შეკიშვილს.**

ამ რთულ პროცესში აქტიურად ჩართულები არიან, ჯგუფებში ბავშვების ქცევას აკვირდებიან, შემდეგ კი შემუშავებულ რეკომენდაციებს მშობლებს აცნობენ და მეტყველებისა თუ დამოუკიდებელი აზროვნების, ასევე ჯანსაღი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში უდიდეს სამუშაოს ასრულებენ გამოცდილი ლოგოპედები: **ლია ხარაძე, თინათინ სარიშვილი, ნინო გაბაშვილი, ლალი ჯაგაშვილი, მაყვალა გერგაია, მზია გელაძე,** *ისინი ბაღის გახსნის დღიდან აქ მოღვაწეობენ; ასევე ფსიქოლოგები –* **ნატო მეფარიშვილი და მედეა კაციტაძე;** *სპეც.პედაგოგები –* **ირმა სამხარაძე-ქველაძე** *და* **ნათია გივიაშვილი** *თავდადებით შრომობენ.*

აქ 21 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი ჰყავთ.

ქალბატონი მზია პროფესიით პედაგოგია, ბავშვები ძალიან უყვარს, თითოეული თანამშრომელი საკუთარი ოჯახის წევრად მიაჩნია, მათ სიხარულსა თუ მწუხარებას იზიარებს, ყველა მათგანის აზრს პატივს სცემს და მათგანაც იგივე დამოკიდებულებას იღებს. კოლექტივში ჯანსაღი ურთიერთობები და ჰარმონიული დამოკიდებულებაა. დირექტორს მხარში უდგანან –გამოცდილი მოადგილე **თინა აბშილავა,** *საქმისმწარმოებლები –* **მაკა ობგაძე** *და* **ნესტან ფოფხაძე.**

ბაღში ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი (ჯანდაცვის კოორდინატორი – **მარინე ობგაძე**), სპორტული და საქტო დარბაზი, სადაც ულამაზესი ღონისძიებები იმართება. სპექტაკლებსა თუ ზდაპრის სამყაროში მოგზაურობისას, საახალწლო თუ სხვა ზეიმებზე პატარებს ხელოვნების სიყვარულს აზიარებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ნინო ტრაპაიძე, ლეილა ლიპარიძე, მარინე ჯალაბაძე, ეთერ მამულაშვილი** და **რაინდ სამხარაძე.** სწორედ ერთ-ერთ ასეთ საახალწლო ღონისძიებას დავესწარით ბაგა-ბაღში სტუმრობისას, რომელიც 5-6 წლიანთა ჯგუფის (აღმზრდელები –**სოფო პირველი** და **ნინო დანელია,** აღმზრდელის თანაშემწეები–**თეკლა გეთიაშვილი, ნაირა ლოლაშვილი**) აღსაზრდელებმა წარმოადგინეს. თეთრ კაბებში გამოწყობილმა ფიფქიებმა, ჩოხოსანმა თუ კინტო ბიჭუნებმა, დათუნიებმა,

ბაჭიებმა, თოვლის ბაბუამ და სხვებმა ცეკვებით, სიმღერებითა და სხვა ინსცენირებებით მოხიბლეს მაყურებელი – დარბაზში ალილოს ხმა გაისმა და „თეთრი ფუნჯით შეღებილა ირგვლივ ლურჯი მთები, უფლის შობას გვიგალობენ ციდან ვარსკვლავები“.

კვების საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჯანდაცვის კოორდინატორი **თეა ბოჭორიშვილი,** მზარეული **ციცინო კელაპტრიშვილი** და მზარეულის დამხმარეები – **ქეთევან ქვრივიშვილი, ნატალია ესართია, ნარგიზა გამყრელიძე** და **შორენა ყაველაშვილი.** არომატული, ყუათიანი კერძებით უმასპინძლდებიან პატარებს.

ქალბატონმა მზიამ გაწეული შრომისთვის სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა ტექნიკური მუშაკებისთვის. თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტები არიან სამ. ნაწ. კოორდინატორები–**ზეინაბ ჭანკოტაძე** და **ინგა ტალახაძე**. დაკრიალებული ჯგუფები, დერეფნები, სველი წერტილები, ქათქათა თეთრეული, ფერად-ფერადი ფარდები, სუფთა ჭურჭელი–ეს ყველაფერი დამლაგებლების: **მზია გრიგალაშვილის, ნაილი ტყემალაძის, დესიკო არაშიძის, ნანი მიშველაძის, ქეთევან ჩიჩხაშვილის, მანანა სულაძის, ლალი დალაქიშვილის, ნანა ფონჯავიძის, ვიოლეტა ჩხაიძის, ზინაიდა მუმლაურისა** და მრეცხავების: **მზია ქვლივიძის, ხათუნა თვაურის, სილვა ხოშებაევის, თამარ წიკლაურის, ლია კახაძის, ეთერ გვიმრაძის, მაია ოყროშიძის, ნონა ოჩხიკიძის და ლუიზა გვიანიძის** დამსახურებაა. ბაგა-ბაღის ყველა მუშაკმა იცის, რომ მისი შრომა პატარების აღზრდასა და დაცულობას ემსახურება. ერთგული თანამშრომლები არიან: **ლაშა სურგულაძე** (მუშა), **ნუგზარ გურგენაშვილი** (მუშა/მებაღე), დარაჯები–**ალექსანდრე სურგულაძე** და **თამაზ სურგულაძე.**

ზეიმის შემდეგ, რამდენიმე ჯგუფის აღსაზრდელებს ვეწვიეთ, სადაც საუცხოო, შემოქმედებითად ლამაზად გაფორმებული გარემო დაგვხვდა. 5-6 წლიანთა ჯგუფები: „ყოჩივარდა“ (აღმზრდელები –**მარინა კიკვაძე** და **მაკა მუმლაძე,** აღმზრდელის თანაშემწე **ლალი ნეფარიძე**), „ნაკადული“ (აღმზრდელები–**ფატი ცუცქირიძე, ლამრო ჯგერენაია;** თანაშემწეები –**ელზა გუმბერიძე, ქეთი ებანოიძე**); 4-5 წლიანთა ჯგუფი **„პეპელა“** (აღმზრდელები – **ლელა ცერცვაძე, მარიკა ხუროშვილი;** თანაშემწე–**დალი ხატიაშვილი**), **„ვარდი“** (აღმზრდელები –**ნელი ჩიტაძე, თამილა იმედაშვილი;** თანაშემწეები –**ეკა ბუწანკალური, ია კუპატაძე**). რუსული შერეული ჯგუფი (აღმზრდელები –**ირმა გარსიძე, ლელა რეხვიაშვილი**; თანაშემწე –**თამუნა რაზმაძე**). სასიამოვნო აღფრთოვანებას ვერ დამალავთ, როცა 5-6 წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელები –**თეა გაგანაშვილი, თიკო მოსიაშვილი**; თანაშემწეები–**თიკო კუპატაძე, შორენა ბახტურიძე**) ერთჯერადი ჭიქებით დამზადებულ უზარმაზარ თოვლის ბაბუას ნახავთ. ყველა აქტივობაზეა განხორციელებული პროექტები: **„ჩვენი უბანი“, მაღაზია“, „ბაზარი“, „წყლის წვეთი“, „ყველაფერი ჩემს შესახებ“, „ტოლერენტობა“.** ჯგუფებში მოწყობილია **„წიგნიერების“, მათემატიკის“, „სახვითი ხელოვნების“, „მეტყველების“** ცენტრები, შესრულებული აქვთ აქტივობები: **„ცირკი“, „ემოციები“, „მარჯვე ხელები“, „ზამთარ-**

ზაფხულის შედარება“ და ჭერი მორთული აქვთ წელიწადის დროების მიხედვით.

მზია კოტიაშვილი: „დიდ ყურადღებას ვგრძნობთ საგენტოს მხრიდან, როგორც მეთოდურად, ისე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და ფინანსური თვალსაზრისით. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ეზოში, ჰოლსა და ჯგუფებში. ხშირად გვსტუმრობენ, ჩვენს შორის დიდია ღიაობა და ჩართულობა. ახალი ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდება და განვითარდება ბაგა-ბაღების ცხოვრება, რისთვისაც მათ უდიდეს მადლობას ვუხდით“.

უბედნიერეს ახალ წელს და ქრისტეშობას ვუსურვებთ ამ შესანიშნავ კოლექტივს, რომელიც მართლაც იმსახურებს ქება-დიდებას.

ნათია გურგენიძე

პირველი წიგნი, როგორც პირველი შვილი

ჩვენი გაზეთის დებიუტანტი

პირველი *შვილის დაბადება უცნაურად სასიხარულო მოვლენაა მშობლებისთვის, როგორც დედის, ისე მამისთვისაც, განსაკუთრებით კი – დედისთვის. ასეა პირველი წიგნის გამოცემაც, ოღონდ მას ერთგვარი დაეჭვებაც ახლავს, თან ფიქრიც* **–როგორი წარმატებული იქნება დებიუტანტის** *პირველი ნაბიჯი. ასეთი აზრი ალბათ აედევნებოდა* **ციცინო ჩხაიძეს,** *როცა მისი პირველი წიგნი* **„ანბანური ინტეგრალები“** *დაისტამბა. დებიუტანტი მხოლოდ ჩვენს გაზეთშია ქალბატონი ციცინო, თორემ სხვა ჟურნალ –გაზეთებში „გამოცდები“ უკვე ფრიადზე აქვს ჩაბარებული. აი, თუნდაც –ისეთ პოპულარულ ჟურნალში, როგორიცაა* **„ათინათი“,** *ისეთ სოლიდურ გამოცემაში, როგორიცაა:* **„ანთოლოგია –ტ. VI“.** *მაგალითად აქ დაიბეჭდა მინიატურები:* **„ამაგდარი“, „ბებერ ბჟოლასთან“, „გემი გადიოდა“, „დედობა“, „ეშმაკისეული“** *და სხვა. ჰო, კინაღამ დამავიწყდა,* **ციცინო ჩხაიძე** *პროზაიკოსია,* **მინიატურული ჟანრის** *ოსტატი. სიტყვა „მინიატურის“ მეტი რა გამიგონია, მაგრამ ამ ჟანრშიც რომ ორიგინალური იყო, არც ისე იოლია. ორიგინალობაში კი გურულებს თვით ევროპელი მეჭორეც ვერ შეეცილება –ეს ხუმრობით. ახლა კი სერიოზულად: გვახსოვს* **ვოლტერის** *ნათქვამი: ყველა ჟანრი კარგია მოწყენილობის გარდაო. ამ ჟანრში კი უფრო ჰპოვა ციცინომ თავისი თავი.*

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა **„უნივერსალში“.** *ცოტა ხნით მოვუსმინოთ წიგნის რედაქტორს, ფილოლოგიის დოქტორ* **დარიკო ფიფიას,** *რომელიც ამ სიტყვების ავტორივით, აფხაზეთიდან დევნილი გახლავთ: „ქართული ენა ციცინო ჩხეიძისთვის რომ ფასდაუდებელი საგანძურია, სალოლიავებელი სამოთხეა, გვარწმუნებს ანბანის 33 ასოზე გაწყობილი მისი მცირე პროზაული ქმნილებები, სადაც „ანი“- დან „ჰოე“- მდე განფენილია ნათელი შუქით მოსილი ქართული სიტყვების ანბანური ინტეგრალები“.*

წიგნში ასეთი 33 მინიატურაა შესული. ბუნებრივია, ყველა მაღალი დონისა ვერ იქნება, მაგრამ აქაც გემოვნების საკითხია. მკითხველი ზოგიერთს, მისთვის საინტერესოს გამოარჩევს, ზოგს –არა. მთავარი მაინც ისაა, რომ **ყოველი მათგანი შემოქმედის შთაგონებითაა შექმნილი.** *ნათქვამია, ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს –მღვდლის ცოლიო. მე ისეთ მკითხველთა შორის მიგულეთ, ვისაც მღვდელიც მოსწონს და მისი ცოლიც.*

33 მინიატურას ვერ წარმოგიდგენთ, მაგრამ... მოდით, ორიოდეს მაინც გემო გავუსინჯოთ!

ამაგდარი

ახტალაში *ანტონი აბანოებს აშენებდა. აუხირდა აბეზარი ალკოჰოლისტი არტემი: ადათით არაა აშენებულიო. არა და არ აცალა ავანგარდული აღმშენებლობა აბეზარმა არტემმა. აჩქარდა ანტონი, აერია აზრი. არტემს ალიყური აგემა და აღმართ –აღმართ აბასთუმანში ალიბეგს ააკითხა. ალიბეგი ატმის ასხვლას ამთავრებდა და ახლა აპირებდა ახალბედა ალუბლებისთვის ადგილის არჩევას. ანტონის ამოსვლით აღფრთოვანებულმა ალიბეგმა აახმაურა არემარე: აბრეშუმივით ამაგდარი ამხანაგი ამომივიდაო, ამცნო აბასთუმნელ ახლობლებს.*

დედობა

დედობა *დაგეხმარება დაბრკოლებების დაძლევაში. დედობა დიდებულებაა. დედობით დამშვენებულია დრო. დედობით დამშვენებულია დედამიწა. დედა დამშვენებულია დაღლით. დედა დამშვენებულია დარდით.*

დარდით დამშვენებულ დედას დარდი დაამძიმებს. დააუძლურებს, დაადნობს, დაანაოჭებს, დააბერებს და დაბანგულივით დააძინებს. დაისვენებს დაღლილი დედა.

დედის დამოძღვრა დიდი დასაყრდენია. *დაიხსომე: დედას დიდსულოვნად დაემორჩილე და დაგლოცავს. დროს დაჰყევი და დაუმარცხებელი დაიწყებ დროში დინებას. დრო დაუნდობელია.*



დაეჭიდები? დაგაჩოქებს, დაგამარცხებს და დაგანარცხებს დედამიწაზე.

დედამიწა დედასავითაა: *დაგიცავს, დაგიამებს, დაგარწყულებს, დაგაპურებს, დაგამშვიდებს. დასასრულს, დაეკონები დედამიწას – დედათა დედას!*

P.S. **ამისთანა უცნაური დებიუტანტი და ორიგინალური მინიატურები სხვაგან სადმე თუ შეგხვედრიათ, მკითხველო? მეც ინტეგრალურად მივულოცავ ციცინო ჩხაიძეს ახალ წელს და ახალ წიგნმრავლობას ვუსურვებ!**

ბორის მიშველაძე

სწავლა–აღზრდის ხარისხის მკვეთრად ამაღლება

←მე–7 გვერდიდან

მშობლებს ყოველწლიურად ურიგდებათ კითხვარები, რის საფუძველზეც ადგენენ მოთხოვნად საგნობრივ წრეს. აქედან გამომდინარე, 2016 წლიდან ამ ფილიალში ფუნქციონირებს **გამოყენებითი ხელოვნების** წრე, რომელსაც **ნელი ლომსაძე** წარმატებით ხელმძღვანელობს; წელს დაემატა ასევე, **ინგლისური ენის** კიდევ ერთი ჯგუფი (ხელმძღვანელი **თეა ლაპიაშვილი**). უცხო ენების წრის გამოცდილი ხელმძღვანელები: **ლალი კალანდაძე** და **ქეთინო მხეიძე** (ინგლისური), **ნინო ვარდოშვილი** (რუსული) მოსწავლეებს დონეების მიხედვით განსხვავებულ მეთოდიკასა და მიდგომას სთავაზობენ,რის შედეგადაც მათ ეძლევათ შანსი წარმატებით შეისწავლონ უცხო ენა. მოსწავლეებმა ინგლისურ ენაზე მოაწყვეს სლაიდშოუ **„თბილისის ღირსშესანიშნაობები“. ქეთინო მხეიძის** 2 მოსწავლე სასწავლებლად საზღვარგარეთ გაიგზავნა.

წარმატებულია ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი **„არტ იბერია“,** რომლის ხელმძღვანელის **თამარ ქორიძის** დიდი დამსახურებაა ის წარმატებები, რასაც ანსამბლი აღწევს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ ჩატარებულ ფესტივალებსა თუ საქველმოქმედო ღონისძიებებში.

2011-2012 წლიდან ფუნქციონირებს **ფიზიკა-მათემატიკის** წრე, რომლის ხელმძღვანელმა **მაია მარაქველიძემ** განახორციელა პროექტი **„თბილისის არითმეტიკა“.** მოსწავლეებმა მოიძიეს და პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს რეალური მონაცემები თბილისზე. აღსანიშნავია სამოდელო-ინტეგრირებული მეცადინეობა ფიზიკასა და მათემატიკაში, პრეზენტაციები მათემატიკურ მოდელირებაზე **„თბილისის ეკონომიკაში“.** მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ 71-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე მათემატიკის სექციაში მიღწეული წარმატებისთვის საბურთალოს ფილიალის 2 მოსწავლე – **ელენე ქამუშაძე** და **ანასტასია ხაჩიძე** დააჯილდოვა.

თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტია და დირექტორს მუდამ მხარში უდგას აღმასრულებელი მდივანი **სალომე ლომთათიძე.**

წელს მოსწავლეები ჩაერთვნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სოციალური კამპანიის „მე აქ ვარ“ ფარგლებში გამართულ ერთობლივ საქველმოქმედო ღონისძიებაში.

თამილა მელაძე: „გაზრდილი მოთხოვნა საგნობრივ წრეებზე სამომავლო პერსპექტივაში წარმოადგენს იმის რესურსს, რომ ჩამოყალიბდეს ახალი წრეები და აქცენტები გავაკეთოთ საკლუბო მიმართულებაზე, რომელიც ბავშვის განვითარების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. რადგან კლუბებში უფრო ფართო განვითარება ხდება, თვალსაწიერი იზრდება, შესაძლებლობა ეძლევათ სხვა მხრიდანაც იფიქრონ ამათუიმ საკითხზე. აქ სხვანაირად მსჯელობენ, მოჰყავთ არგუმენტები“.

წარმატებები და ბედნიერი შობა-ახალი წელი ვუსურვოთ მათ. ყველა მოსწავლეს და პედაგოგს!

ნათია გურგენიძე

პროფესიული განათლება დასაქმებისთვის

საზოგადოებრივ კოლეჯში **„სპექტრი“,** კომპანია „ჯეოტურანმა“, მილგაყვანილობის სისტემის სფეროში წლის საუკეთესო მასტერის გამოსავლენად,ყველაზე მასშტაბური ჩემპიონატი „ევრომასტერი 2017“ გამართა, ღონისძიება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა და აშშ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერაა დაფინანსებული.

ღონისძიებას დაესწრო ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი **ჯენერ ედელმანი** და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს უმაღლესი და პროფესიული განათლების პროექტის დირექტორი **ნოდარ სურგულაძე,** უცხოელ ექსპერტებთან და „ჯეოტურანი“-ს პარტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად.

კონკურსის მიზანია საქართველოში პროფესიული განათლების სექტორის იმიჯის და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ბიზნესის და განათლების სექტორების პარტნიორობის გაუმჯობესება და პროფესიული სასწავლებლების განვითარების ხელშეწყობა, რათა ისინი პასუხობდნენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ფულადი პრიზების გარდა (პირველი ადგილი 1500 ლარი, მეორე ადგილი 1000 ლარი, მესამე ადგილი 500 ლარი) გამარჯვებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ კომპანია „ჯეოტურანში“ და პარტნიორ ორგანიზაციებში.

კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციისა და სკოლებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციასა და სკოლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი.

მემორანდუმის მიზანია სკოლებსა და ასოციაციის დამფუძნებელ უმაღლეს სასწავლებლებს შორის (საქართველოს უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი) მჭიდრო და გძელვადიანი ურთიერთობის დამყარება.

ასოციაცია ორმოც სკოლასთან თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, რუსთავიდან და წყალტუბოდან მემორანდუმის ფარგლებში ითანამშრომლებს საგანმანათლებლო აქტივობების ხელშეწყობისთვის, რაც გულისხმობს:

ახლებურად გააზრებული სასწავლო- შემოქმედებითი გარემოს ფორმირების ხელშეწყობას;

საგანმანათლებლო ხასიათის ინფორმაციის ორმხრივად ურთიერთგაცვლას;

მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისათვის საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდებას;

ერთობლივი სასწავლო და საგანმანათლებლო პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას; მეცნიერული კვლევებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას;

მოსწავლეთათვის სტუდენტებთან კოოპერაციის ფორმატში კონკურსების, ოლიმპიადების, გამოფენების, ინტელექტუალური თამაშების, პრეზენტაციების, მრგვალი მაგიდისა და სემინარების გამართვას;

სკოლის მოსწავლეებისათვის „ნორჩ პროგრამისტთა“, „მომავალ დიპლომატთა“, „დებატების“ კლუბების, „საყმაწვილო ტელევიზიისა“ და „ლიდერთა სკოლის“ ჩამოყალიბებას, მათი საქმიანობის კოორდინირებას;

„საზაფხულო სკოლების“ მუშაობაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფას;

სტუდენტთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობას.

ხვდება ხელდამშვენებული ახალ წელს

წიგნი — ცხოვრების მასწავლებელი

ეგზიუპერი *თავისი ბავშვობიდან მოდიოდა.* **ნაირა ნიჟარაძე** *კი ბავშვობიდანაც მოდის და მეოცე საუკუნის ქართული პოეზიიდანაც. იმდენად პროდუქტიული შემოქმედია იგი, რომ გამოჩენილ მწერლებსაც შეშურდებათ. აი, მისი წიგნების არასრული ჩამონათვალი:* **„ნუ შეწყვეტ სიმღერას“, „ვარდის ფურცლები“, „მთამაღალზე, ტბის ნაპირას“, „სოკოების ყრილობა“, „აბლაბუდა“,** *სხვები და სხვები.*

ობივატელი იტყვის, წიგნების რაოდენობაში როდია საქმე, მაგრამ არც **მხატვრულ–პოეტურ** *ღირსებებში ჩამოუვარდება ნაირა ვინმეს. ჩემს პირად აზრს თამამად გაგიმხელთ: ამ წიგნების შემოქმედი* **შიო მღვიმელის** *პრემიის უცილო კანდიდატია. თუ არ გჯერა, მკითხველო, კრიტიკოსის თვალით წაიკითხე მისი წიგნები და თავად დარწმუნდები.*

ამჯერად ლექსების ერთ პაწაწინა კრებულზე მინდა მოკლედ გესაუბროთ **„მთვარის ოვალი“** *ჰქვია. სახელწოდებაშიც არის მინიშნება, რომ ავტორი ბუნების ტრფიალია. ზოგი ისეთი ნიმუშიც გვაქვს, რომ ავტორი ვაჟას თამასასაც არ ეპუება.* **ნაირა ნიჟარაძე** *თბილისის სვანეთის უბანში ცხოვრობს და წიგნის კითხვისას იფიქრებ: ავტორს მშობლიური სვანეთის ზვიადი ბუნება, სვანი კაცის ხასიათი და ჰეროიკა აქ გადმოუტანიაო: რამდენ სიბრძნეს იტევს ეს პაწია წიგნი. გაგაოცებთ მისი თემატიკური მრავალფეროვნება, აზრის სისხარტე და მუსიკალურობა. თუ შევწვდებით, კალეიდოსკოპურად განვიხილოთ:* **ბუნება:** *„გამობრწყინდი ამინდო, ცოტა უნდა დამინდო, ცოტა წავიანკესო, სიმინდებიც დავთესო“, „აქ ვარდნარის ჩერია, ყველგან ვაზის ღეროა, ხავერდების მდელოა, ჩემი საქართველოა“. „ახლა იწყება გასხვლა ვაზისა, უკვე დაიწყო გაშლა ნარცისმა, დილა მშვიდობის, სითბოვ, ხალისო, დღეს გაზაფხული ახლოს არისო“.* **მიწა**–*მამა მარჩენალი, „თესლით აავსებ? ის შენ აგავსებს, ათას ნობათით მოგცემს ათასებს, ავი ღალატი მიწამ არ იცის, ზოგან რკინაა, ზოგან ბალიში“. ლექსი* **„პოეტი ქალი“** *ნაირას ავტოპორტრეტია. ნაღდი და არა ურაპატრიოტიზმი ჟღერს ლექსებში:* **„თამარ მეფე და წიგნები“, „თამარი და რუსთაველი“, „დავით აღმაშენებელი“, „დიდგორი“, „სურათი“...** *ქალის ტვირთი, ქალი–დედა, ვისი უბითაც გამოზრდილია კაცობრიობა:* **„ძვირფასო დედა“, „ქალთა ქვეყანა“, „ქალი–მეცხვარე“. დიდაქტიკა:** *„ნუ იტყვი ტყუილს, ზიანს მოგიტანს, სავსეს ყინულით, ცივი თოვლითა“,* **ხალხის ხელოვნება:** *„მუდამ იქნება ქართული ცეკვა, როგორც სიცოცხლე და გულის ფეთქვა“,* **ისევ ბუნება:** *„წვიმა მოვარდა წკაპუნა, ჭრელი ქოლგები დაგვხურა... ასეთი წვიმა არ თქმულა, ტურამ საბანი გაწურა“.*

მკითხველი ატყობს, რომ ჩემი წერილის თემას ვერ მოვერიე. ვერ დავძლიე იგი. მაგრამ მაინც ვერ დაგტოვებთ ამის უთქმელად: ქალისა და დედის თემაზე ამ წიგნში გვაქვს ბრწყინვალე ლექსები. კლასიკურ მწერლობაში გმირი დედის სახეებიც არის



შექმნილი მსოფლიო რეზონანსისა: **ნეკრასოვის** *„დედა“,* **გორკის** *„დედა“,* **ილიას:** *„ქართველის დედა“, „ოთარაანთ ქვრივი“,* **იოსებ ნონეშვილის** *„დედა“ და... ამათ ტოლს არ დაუდებს* **ნაირა ნიჟარაძის** *ლექსი:* **„ქალის მარჯვენა“.** *იგი ოთარაანთ ქვრივის–ყველა ღირსებით შემკული ქალის ასოციაციას იწვევს. მინდოდა ეს ლექსი გადამენახა დედის დღისათვის, რომელსაც მალე, 3 მარტს ვიზეიმებთ, მაგრამ სულმა წამძლია და საახალწლოდ მინდა გავაცნო მკითხველს:*

ქალის მარჯვენა

ზოგიერთსა სწყინს ქალის გაჩენა,
დრომ, ისტორიამ ასე აჩვენა.
შვილებს მოიყვანს, ერს გაამრავლებს,
დალოცვილია ქალის მარჯვენა.
ქარგავს და კერავს, საჭმელს ამზადებს,
სინდის–ნამუსსაც იგი ქადაგებს,
თუ დატრიალდა, ციხე–კოშკებსაც
და საცხოვრებელს თავად ააგებს.
ქალის მარჯვენა საოცარია,
ზრუნავს, ტრიალებს, სულ არ სცალია,
უყვარს მამული, ქვეყნის ფარია,
ოჯახის მცველი დედოფალია!

ასეთი ბარაქიანი ნობათით ხვდება პოეტი შობა–ახალ წელს.
ვუსურვოთ, 2018 წელს უფრო ხელხვავიანი იყოს!

რედაქტორი

ხბოს აღტაცება

ხშირად გაიგონებთ: თავმოყვარეობა არა აქვსო. თავმოყვარეობის დეფიციტი კი მლიქვნელობაში გადაიზრდება. მლიქვნელობა კი ღირსების შემლახველია.

ბოჩოლა რძით რომ გაიჭყიპება, მინდორში კუნტრუშს დაიწყებს, უაზროდ გაგიჟდება, ხან აქეთ მიაწყდება და ხან იქით მიეხეთქება, ტლინკაობს. ამას ეძახიან **„ხბოს აღტაცებას“!**

არ ვიცი ეს თვისება ჩვენს ხასიათში ზის თუ არა, მაგრამ ცხადია, ამის მსგავსი, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება: მუდამ სხვას ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას არ ვუკვირდებით.

„ხბოს აღტაცების“ ორი მაგალითი გავიხსენოთ, ძვირფასო მკითხველო –ერთი იმ საუკუნიდან, მეორე –ამ საუკუნიდან.

მაშინ რუსი მწერალი **ასტაფიევი** გვესტუმრა. გადაყვნენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, „დევების აუდებელი სუფრა“ გაუშალეს, ჩიტის რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზი-ციმორი დააჭერინეს. ჰოდა, რომ დაბრუნდა **ასტაფიევი** მოსკოვში, პასკვილი **„ციმორის ჭერა“** გამოაცხო: ქართველები უსაქმურები ხართო, ღვინის ყლაპვის მეტი არაფერი იციო, ორსული ქალივით უშველებელი ღიპი გადგათო.

ამ საუკუნეში კი თურქმა მწერალმა **ორჰან ფამუქიმ** ნობელის პრემია მიიღო. სტუმართმოყვარეობის მოტივით (უფრო ღრმად თუ ჩავწვდებით განაზრახს, სხვა მოტივითაც) გადაირივნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლები, ჩამოიყვანეს, **„პრეზენტაცია“** მოუწყეს, **„სუფრადანციაც“** ზედ მიაყოლეს.

ერთმა მწერალმა ჰკითხა **„უძვირფასეს“** სტუმარს, რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანზე“** რას გვეტყვითო? –არც კი მაქვს წაკითხულიო(?!)

ახლახან ევროვიზალიბერალიზაციაზეც ხომ არ მოგეძალათ ბევრს **„ხბოს აღტაცება“?**

თავმოყვარეობა –ღირსებისა და არა მონური ქედმოხრის გრძნობა კარგი საქონელია, ღმერთმანი!



„ტანა“ დიდგულა

მდინარე *ტანამ შემასხა ფრთები,*
ოდეს აქ ლამაზ სიმღერად ვენთე,
მე ამ მდინარის დუდუნით ვტკბები,
ამ სიყვარულში მოვკვდები ერთხელ.

ჩემი ატენის „ტანა“ დიდგულა,
სიხარულს აპნევს მთებიდან ბარად,..
ჩემმა სიცოცხლემ მას უერთგულა,
მის სიყვარულში ვენთები მარად!

მარლენ (მალეტა) ვანიშვილი

საკითხავი, ოღონდ არა გასართობად

დღევანდელობის ავან-ჩავანი

***

იყო *ერთი იურისტი განათლების მინისტრი, განათლების მისაღებად გააგ ზავნეს ინგლისში.*

***

იყო *ერთი ფილაფოზი, წვერება, ვით მღვდელი, მლიქვნელობით მოიხვეჭა მინისტრის პორტფელი.*

***

ჩვენ *თბილისი რომ არ გვსურდა,*
ისე გაგვიინგლისურდა.

***

იყო *ჩვენი ამომგდები ყოველწლიურად,*
უცბად გახდა მეგობარი ისტორიულად.

მოსე მწერალი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის გამოწერა შეგიძლიათ ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ საგენტოებში „მაცნესა“(ტ.2 143 906) და „პლანეტა ფორტეში“ (ტ.2 988 990)ან რედაქციის ანგარიშზე: ს/ს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCGBGE 22

მიმღები: პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი: სახალხო განათლება +

ა/ა GE 94TB7249236080100007

ს/კ 402010587

ჩარიცხოთ **10 ლარი – ექვსი თვით, 20 ლარი – ერთი წლით** გამოგვიგზავნოთ ელ.ფოსტაზე სახგანი”გმაილ.ცომ და მანდვე მოგვწეროთ მისამართი. მიიღებთ ყველა ნომერს მითითებულ მისამასთზე.

რედაქცია

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N20 (4559)
27 დეკემბერი / 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; რომან მოსეშვილი 599 344 141; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 599 977 398; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 597 765 810;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113